

შპს „კინგ ორიგინალი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-13

შპს „კინგ ორიგინალი“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		13,016,977	16,417,366
რეალიზაციის თვითღირებულება		(11,652,819)	(14,084,245)
მთლიანი მოგება		1,364,158	2,333,121
დასაქმებულთა ანაზღაურება		(497,866)	(540,558)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(170,041)	(808,988)
საპროცენტო ხარჯი		(103,604)	(111,880)
ცვეთა და ამორტიზაცია		(47,288)	(15,862)
იჯარის ხარჯი		(43,744)	(69,473)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი ცვლილებებიდან	6	45,417	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		325	227,102
მოგება მოგების გადასახადამდე		547,357	1,013,462
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		547,357	1,013,462
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		547,357	1,013,462

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს

 დირექტორი
 ნუგზარ სურმანიძე

შპს „კინგ ორიგინალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	7	94,915	-
ძირითადი საშუალებები		111,491	131,906
არამატერიალური აქტივები		307	306
სულ გრძელვადიანი აქტივები		206,713	132,212
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	106,610	119,186
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	581,671	741,335
გადახდილი ავასები		96,866	687,937
მარაგები	10	3,633,994	2,705,500
სხვა მიმდინარე აქტივები		258,265	59,339
სულ მიმდინარე აქტივები		4,677,406	4,313,297
სულ აქტივები		4,884,119	4,445,509
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		956,403	956,403
გაუნაწილებელი მოგება		2,793,516	2,514,859
სულ კაპიტალი		3,749,919	3,471,262
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		91,025	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		91,025	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		14,101	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		315,669	243,295
მიღებული ავანსები		2,057	8,126
ვალდებულებები თანამშრომებთან მიმართ		-	1,275
სესხები	11	711,347	721,551
სულ ვალდებულებები		1,134,199	974,247
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,884,119	4,445,509

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი
ნუგზარ სურმანიძე

შპს „კინგ ორიგინალი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერ 2019	956,403	2,514,859	3,471,262
სულ წლის სრული შემოსავალი	-	547,357	547,357
გაცემული დივიდენდები	-	(268,700)	(268,700)
ბალანსი 31 დეკემბერ 2020	956,403	2,793,516	3,749,919

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

 დირექტორი
 ნუგზარ სურმანიძე

შპს „კინგ ორიგინალი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ნაღდი ფული	8,199,696	9,324,389
საწარმოს პერსონალისგან მიღებული ნაღდი ფული	14,109,745	10,865,674
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	(6,801,493)	(1,114,585)
გადახდილი ხელფასები	(399,299)	(427,574)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული	(12,140,861)	(15,597,447)
გადახდილი გადასახადები	(3,000,375)	(3,589,752)
სხვა ფულადი შემოსავლები	484,596	1,257,165
სხვა ფულადი ხარჯები	(8,988)	(39,881)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	443,021	677,990
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	3,146	65,142
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	3,146	65,142
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(268,700)	(240,000)
სესხების აღებით მიღებული თანხები	6,688,384	8,131,775
სესხების დაფარვით გასული თანხები	(6,891,403)	(9,904,454)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(471,718)	(2,012,679)
წმინდა კლება/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(25,551)	(1,269,547)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	119,185	1,387,403
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულზე და ფულად ექვივალენტებზე	12,976	1,330
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	106,610	119,185

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი
 ნუგზარ სურმანიძე

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „კინგ ორიგინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2012 წლის 7 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 445407177.

ძირითადი საქმიანობა. შპს „კინგ ორიგინალის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტებით ვაჭრობა და დისტრიბუცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის V შესახვევი, N 7

კომპანიის მეწილეები: ამირან ბარამიძე - 10% და მარტიკ ანდრასიან /სომხეთო/ - 90%.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შედგებოდა 31 კაცისგან.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამოზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	45,269
კომუნალური ხარჯი	38,738
საპენსიო დანარიცხები	21,059
ფინანსური ხარჯი	16,482
სამეურნეო ხარჯები	11,225
დაზღვევა	7,593
ბაკის საკომისო ხარჯი	8,837
კომუნიკაციის ხარჯები	4,823
საკონსულტაციო ხარჯები	6,714
სხვა საერთო ხარჯი	9,302
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	170,041

6. მოგება/ზარალი კურსთაშორისი ცვლილებებიდან

წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, ლარში	2020
დადებითი საკურსო სხვაობა	704,366
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(658,948)
ჯამი	45,417

7. აქტივის გამოყების უფლება

ღირებულება	შენობა	მანქანა-დანადგარები	სულ
1 იანვარი 2020	-	-	-
დამატება	118,644	-	118,644
31 დეკემბერი 2020	118,644	-	118,644
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2020	-	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	(23,729)	-	(23,729)
31 დეკემბერი 2020	(23,729)	-	(23,729)
ნარჩენი ღირებულება			
1 იანვარი 2020	-	-	-
31 დეკემბერი 2020	94,915	-	94,915

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	50,153	32,046
ეროვნული ვალუტა ბანკში	52,910	83,936
უცხოური ვალუტა ბანკში	3,547	3,204
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	106,610	119,186

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2020	2019
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	574,237	724,681
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	7,434	16,654
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	581,670	741,335

10. მარაგები

მარაგები	2020	2019
საქონელი	2,634,366	1,958,917
ნედლეული და მასალები	967,181	712,823
მზა პროდუქცია	32,447	33,760
სულ მარაგები	3,633,994	2,705,500

11. სესხები

კომპანიის სესხები წარმოადგენს სს „თი ბი სი“ ბანკისგან დოლარში აღებულ სესხს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო წლის ბოლოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით ექვივალენტ ლარებში.

12. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

13. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები; ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც

ამღვეს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია ა ან დ-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, დ ან ე-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას არ გააჩნია არსებითი ნაშთები და ტრანზაქციები

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2021 წლის 10 სექტემბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

შპს „კინგ ორიგინალი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		13,016,977	16,417,366
რეალიზაციის თვითღირებულება		(11,652,819)	(14,084,245)
მთლიანი მოგება		1,364,158	2,333,121
დასაქმებულთა ანაზღაურება		(497,866)	(540,558)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(170,041)	(808,988)
საპროცენტო ხარჯი		(103,604)	(111,880)
ცვეთა და ამორტიზაცია		(47,288)	(15,862)
იჯარის ხარჯი		(43,744)	(69,473)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი ცვლილებებიდან	6	45,417	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		325	227,102
მოგება მოგების გადასახადამდე		547,357	1,013,462
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		547,357	1,013,462
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		547,357	1,013,462

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი
ნუგზარ სურმანიძე



შპს „კინგ ორიგინალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
აქტივის გამოყენების უფლება	7 94,915	-
ძირითადი საშუალებები	111,491	131,906
არამატერიალური აქტივები	307	306
სულ გრძელვადიანი აქტივები	206,713	132,212
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	8 106,610	119,186
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9 581,671	741,335
გადახდილი ავასები	96,866	687,937
მარაგები	10 3,633,994	2,705,500
სხვა მიმდინარე აქტივები	258,265	59,339
სულ მიმდინარე აქტივები	4,677,406	4,313,297
სულ აქტივები	4,884,119	4,445,509
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	956,403	956,403
გაუნაწილებელი მოგება	2,793,516	2,514,859
სულ კაპიტალი	3,749,919	3,471,262
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	91,025	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	91,025	-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	14,101	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	315,669	243,295
მიღებული ავანსები	2,057	8,126
ვალდებულებები თანამშრომებთან მიმართ	-	1,275
სესხები	11 711,347	721,551
სულ ვალდებულებები	1,134,199	974,247
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,884,119	4,445,509

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 10
სექტემბერს

დირექტორი
ნუგზარ სურმაძე



6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „კინგ ორიგინალი“
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერ 2019	956,403	2,514,859	3,471,262
სულ წლის სრული შემოსავალი	-	547,357	547,357
გაცემული დივიდენდები	-	(268,700)	(268,700)
ბალანსი 31 დეკემბერ 2020	956,403	2,793,516	3,749,919

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 28 სექტემბერს

დირექტორი
ნუგზარ სურმანიძე



შპს „კინგ ორიგინალი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	8,199,696	9,324,389
მომხმარებლისგან მიღებული ნაღდი ფული	14,109,745	10,865,674
საწარმოს პერსონალისგან მიღებული ნაღდი ფული	(6,801,493)	(1,114,585)
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	(399,299)	(427,574)
გადახდილი ხელფასები	(12,140,861)	(15,597,447)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული	(3,000,375)	(3,589,752)
გადახდილი გადასახადები	484,596	1,257,165
სხვა ფულადი შემოსავლები	(8,988)	(39,881)
სხვა ფულადი ხარჯები	443,021	677,990
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	3,146	65,142
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	3,146	65,142
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(268,700)	(240,000)
გადახდილი დივიდენდები	6,688,384	8,131,775
სესხების აღებით მიღებული თანხები	(6,891,403)	(9,904,454)
სესხების დაფარვით გასული თანხები	(471,718)	(2,012,679)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(25,551)	(1,269,547)
წმინდა კლება/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	119,185	1,387,403
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12,976	1,330
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი ფულზე და ფულად ექვივალენტებზე	106,610	119,185
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი
 ნუგზარ სურმანიძე


